ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N19

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 23.07.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი.*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირამ ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაიძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, პატაა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირი:

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -**ივანე მამფორია.**
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი -**თემური სოხანეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 12^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტისა და ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: /ტარიელ ბარამიძე/

4. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ,,ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: /ნარგიზი ალფაიძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხზე მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ :

დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა მცირდება 214,2 ათასი ლარით. ბიუჯეტის ცვლილება ძირითადად განპირობებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში 2018 წლის 11 ივლისს N1397 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებებით, რის შედეგადაც სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხები შემცირდა სახელშეკრულებო ღირებულებამდე, რაც 202,5 ათას ლარს შეადგენს. 2017 წლის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულებასა და საბოლოო შესრულებას შორის გამოვლენილი ეკონომია 11,7 ათასი ლარი დაბრუნდება სახელმწიფო ბიუჯეტში (სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მშენებლობა 9,3 ათასი ლარი, უხუთის ბაღის მშენებლობა 9,3 ათასი ლარი).

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 2

(თორნიკე ერისთავი. დავით კაკაბაძე)

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N117)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძე წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტისა და ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილების შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშავა ქონების ინვეტარიზაციის და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი, რომელიც შედგება 7 მუხლისაგან და შეესაბამება ,,საბიუჯეტო

ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვეტარიზაციის ჩატარების წესს“ ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საკრებულოს 2011 წლის 28 ოქტომბრის N19 დადგენილება: ,,თვითმმართველი ერთეულის-ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და ჩამოწერის შედეგფად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25
წინააღმდეგი – 2
(თორნიკე ერისთავი. დავით კაკაბაძე)

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტისა და ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“

(დანართი: დადგენილება N 118)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტრიელ ბარამიძემ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხაში, კერძოდ ,,აიტი სპეციალისტს“ გაეზარდა ხელფასი 50 ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25
წინააღმდეგი – 2
(თორნიკე ერისთავი. დავით კაკაბაძე)

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

(დანართი: დადგენილება N 119)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა თემური სოხანეიშვილმა (ნარგიზი ალფაიძის საპატი მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ,,ზედამხედველობის სამასახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 25 იანვარის N67 დადგენილებით დამტკიცებულ დებულების მეექვსე მუხლს დაემატოს 27- ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუველსაყოფად ხმაურის და დასუფთავების სანიტარული ნორმების დაცვაზე კონტროლი.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26
წინააღმდეგი – 1
(თორნიკე ერისთავი.)

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ,,ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

(დანართი: დადგენილება N120)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე